

# ენკო ბაქტერიოფაგი

პროდუქტის აღწერა

ფარმაცევტული პროდუქტის სავაჭრო

დასახელება:

ენკო ბაქტერიოფაგი



**ENKO  
BACTERIOPHAGE**

ANTIBACTERIAL SOLUTION FOR TOPICAL AND ORAL USE

10 ml x 5

საქართველოში ფარმაცევტული პროდუქტის  
რეგისტრაციის ნომერი : **R-019969**

Phages active against: (pfu/ml)

*Staphylococcus (10<sup>7</sup>)*, *Shigella (10<sup>7</sup>)*, *Salmonella (10<sup>7</sup>)*, *Escherichia coli (10<sup>7</sup>)*,

Preparations developed by

**GEORGE ELIAVA INSTITUTE**

OF BACTERIOPHAGES, MICROBIOLOGY AND VIROLOGY

შემადგენლობა:

ენკო ბაქტერიოფაგი წარმოადგენს კომბინირებულ პრეპარატს, რომელიც შეიცავს ფაგოლიზატების სტერილურ ნარევს, აქტიურს:

- შიგელების (*Shigella flexneri*: serotype 1,2,3,4; *Shigella sonnei* და *Shigella newcastle*) ტიტრით არანაკლებ  $10^5$  მლ<sup>-1</sup>,
- სალმონელების (*Salmonella*: paratype A, paratype B, enteritidis, cholerae suis, typhimurium, oranienburg) ტიტრით არანაკლებ  $10^5$  მლ<sup>-1</sup>,
- ფართოდ გავრცელებული ნაწლავის ჩხირის ტიტრით არანაკლებ  $10^5$  მლ<sup>-1</sup>,
- პათოგენური სტაფილოკოკების (*Staphylococcus*: aureus, epidermidis) ტიტრით არანაკლებ  $10^5$  მლ<sup>-1</sup>

მიმართ.

არააქტიური ნივთიერებების სახით: ბაქტერიულ საკვებ ბულიონს, ფიზიოლოგიურ ხსნარს, ხოლო კონსერვანტად გამოყენებულია ქინაზოლი.

აღწერა:

მოყვითალო – ღია ყავისფერი სითხე.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:

სპეციფიკური ანტიბაქტერიული საშუალება

ფარმაკოლოგიური მოქმედება:

ენკო ბაქტერიოფაგი იწვევს ოქროსფერი და ეპიდერმალური სტაფილოკოკების, შიგელების, ნაწლავის ჩხირის და სხვადასხვა სეროტიპის სალმონელების სპეციფიკურ ლიზისს.

დანიშნულება:

ენკო ბაქტერიოფაგი გამოიყენება ზემოთ აღნიშნული მიკროორგანიზმებით გამოწვეული ნაწლავური ინფექციების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის.

გამოყენების ჩვენება:

ენტერალური ინფექციები: დიზენტერია, სალმონელოზი, დისპეპსია, კოლიტი, გასტროენტეროკოლიტი, ქოლერისტიტი, სტაფილოკოკური ტოქსიკონფექციები, დისბაქტერიოზი და სხვა.

გამოყენების წესი და დოზირება:

ენკო ფაგი მკურნალობის მიზნით გამოიყენება Per os, დაავადების პირველივე დღიდან 5-6 დღის განმავლობაში, შემდეგი დოზებით:

ბავშვებში 3 წლის ასაკამდე - 5 მლ-ის ოდენობით ერთ მიღებაზე;

ბავშვებში 3 წლის ასაკის ზევით და მოზრდილებში -10 მლ-ის ოდენობით ერთ მიღებაზე, დღეში 4-ჯერ



საკვების მიღებამდე 30 წუთით ადრე. დალევის წინ რეკომენდებულია 2-3% საჭმელი სოდიანი ხსნარის მიღება.

ამავე დროს რეკომენდებულია დღეში ერთხელ (უმჯობესია საღამოს, სოდიანი ხსნარით გამწმენდი ოყნის შემდეგ) ბაქტერიოფაგის შეყვანა Per rectum 10 მლ-ის რაოდენობით ბავშვებში და 20 მლ-ის რაოდენობით მოზრდილებში.

მასიური ნაწლავური ინფექციების გამოვლინების დროს სტაციონარში მყოფ ყველა ავადმყოფს კლინიკური დიაგნოზის მიუხედავად უტარდება ფაგირება დღეში ორჯერ, 10-20 მლ-ის ოდენობით 5 დღის განმავლობაში.

*განსაკუთრებული მითითებები:*

გამოყენების წინ ფლაკონი უნდა შევანჯღრიოთ, სითხე უნდა იყოს გამჭვირვალე და ნალექის გარეშე. შეფუთვის დაზიანებისას ან ფლაკონში ფაგის შემღვრევის შემთხვევაში პრეპარატი არ გამოიყენოთ!!! არ შეიძლება პრეპარატის შენახვა ფლაკონის გახსნის შემდეგ!!!

*ჭარბი დოზირება:*

ენკო ბაქტერიოფაგის გამოყენებისას ჭარბი დოზირების სიმპტომები არ გამოვლენილა.

*უკუჩვენებები:*

ენკო ბაქტერიოფაგის გამოყენებას უკუჩვენებები არ გააჩნია.

*გვერდითი მოვლენები:*

ენკო ბაქტერიოფაგის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ გამოვლენილა.

*ურთიერთქმედება სხვა სამკურნალო საშუალებებთან:*

პრეპარატის გამოყენება შესაძლებელია სხვა სამკურნალო საშუალებების პარალელურად. ენკო ბაქტერიოფაგის გამოყენებისას ალკოჰოლის მიღება არ არის რეკომენდირებული.

*მომხმარებელთა განსაკუთრებული კატეგორიები:*

*ორსულობა და ლაქტაცია:*

პრეპარატის გამოყენება ორსულობისას და ლაქტაციის პერიოდში დასაშვებია.

*ხანდაზმულები:*

პრეპარატი ინიშნება ხანდაზმულ პაციენტებში.

*გავლენა ავტომობილების მძღოლებზე და პოტენციურად საშიშ მანქანა-დანადგარებთან მომუშავე პერსონალზე:*

ენკო ბაქტერიოფაგის გამოყენება არ ახდენს გავლენას ავტომობილის ან სხვა მანქანა-დანადგარების მართვის უნარზე.

*შეფუთვა:*

პრეპარატი გამოდის 10 მლ-იან ფლაკონებში (ერთ ყუთში 5 ფლაკონი)

*შენახვის პირობები და ვარგისობის ვადა:*

ენკო ბაქტერიოფაგი ინახება მზის სხივებისგან დაცულ, მშრალ ადგილას, +2°C - +8°C ტემპერატურაზე. შენახვის ვადაა 18 თვე.

*გაცემის რეჟიმი:*

ფარმაცევტული პროდუქტი ჯგუფი III, გაიცემა რეცეპტის გარეშე.

პრეპარატი შემუშავებულია გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტში.

*მწარმოებელი:*

შპს. "ბაქტერიოფაგის ბიოპრეპარატები"

საქართველო, თბილისი 0160, გოთუას 3; ტელეფონი: +995(32) 2370702; ელ-ფოსტა: [info@phage.ge](mailto:info@phage.ge)